საბრუნავი კაპიტალის მართვის ეფექტურობა ქართულ კომპანიებში

თამარ გრიგოლია

სამაგისტრო ნაშრომი

ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტი

ხელმძღვანელი: გიორგი დანელია

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის „საბრუნავი კაპიტალის მართვის ეფექტურობა ქართულ კომპანიებში“ ავტორი ვაცხადებ, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი არ შეიცავს აქამდე სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას, ასევე გამოსაქვეყნებლად მიღებულ და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული შესაბამისი წესის მიხედვით.

თამარ გრიგოლია

15/06/2023

აბსტრაქტი

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია საბრუნავი კაპიტალის მართვის ეფექტურობა ქართულ კომპანიებში. მოგეხსენებათ, საბრუნავი კაპიტალის სტრუქტურირებული მართვა მნივშენლოვან გავლენას ახდენს კომპანიის მომგებიანობაზე, კომპანიების ეფექტიანობის გაზრდა, ცხადია განაპირობებს უფრო მდგრად ეკონომიკურ გარემოს. ნაშრომის ძირითად მიზანს წამოადგენს გავაანალიზოთ ის ფაქტორები, რომლების დადებით ეფექტს ახდენს კომპანიის ეფექტურობაზე და პირიქით მოვახდინოთ იმ ფაქტორების იდენტიფიცირება რომლებიც უარყოფითად მოქმედებს კომპანიების საოპერაციო ციკლზე. ასევე, მნივშენლოვან საკითხს წარმოედგენს ინდუსტრიების შესწავლა და მათია ანალიზი, რადგან კომპანიის შესახებ საბრუნავი კაპიტალის მართვა გამოირჩევა სპეციფიკურობით და რომელზეც დიდ გავლენას კომპანიის ბუნება ახდენს.

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული იქნა რაოდენობრივი კვლევა. კვლევისთვის მოპოვებული იქნა საწარმოთა ფინასური ინფორმაცია და შესაბამისი მონაცემების გამოყენებით მოხდა საბრუნავი კაპიტალის საოპერაციო ციკლის თითოეული ელემენტის ანალიზი. მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ საბრუნავი კაპიტალის მართვის ეფექტურობა დამოკიდებულია მარაგების და დებიტორული დავალიანებების სწრაფი ბრუნვის და კრედიტით დაფინასების ხანგრძლივობის გაზრდაზე. გარდა, ამისა რადგან მარაგები საბრუნავი კაპიტალის მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, ნაშრომის ფარგლებში მოხდა მარაგების უფრო ღრმა ანალიზი და შემოთავაზებულია მარაგების მართვის სხვადასხვა სისტემები. ნაშრომში შესწავლილია მარაგების დაბალ და მაღალ დონესთან დაკავშირებული უპირატესობების და უარყოფითი მხარეები. ასევე, წარმოდგენილია მარაგების მართვის ისეთი ტექნიკები, რომლებიც კომპანიებს თავის ბუნებიდან გამომდინარე საშუალებას მისცემს გააუმჯობესონ თავიანთი საბრუნავი კაპიტალის მართვის ეფექტიანობა. კომპანიის საოპერაციო ციკლის ანალიზმა აჩვენა, რომ საბრუნავი

კაპიტალის მართვის პროცესში მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ინდუსტრიას, შესაბამისად ნაშრომის ფარგლებში წარმოდგენილია ინდუსტრიების მიხედვით კვლევა. ინდუსტრიები წარმოდგენილია შემდეგი სფეროების მიხედვით სამშენებლო და სავაჭრო და საბითუმო ვაჭრობა. ამ ორი ინდუსტრიის ანალიზმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ საბრუნავი კაპიტალის ეფექტურობა და საოპერაციო ციკლი დამოკიდებულია კომპანიის ბუნებაზე. შედეგად აღმოჩნდა სავაჭრო და საბითუმო ვაჭრობის სფეროს საოპერაციო ციკლი ბევრად უფრო ხანმოკლეა ვიდრე სამშენებლოს სექტორის საოპერაციო ციკლი. თუმცა ცალკე აღებულ ინდუსტრიებში შედეგები საკმაოდ არაერთგვაროვანია, რაც საჭიროებს უფრო სიღრმისეული ანალიზს.

მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების ჩამოყალიბება: საქართველოში არსებული სამშენებლო კომპანიების ინდუსტრია გამოირჩევა ხანგრძლივი პროექტებით, რაც განაპირობებს საოპერაციო ციკლის ხანგრძლივ პერიოდს. აღნიშნული საკითხი შესაძლოა კომპანიისთვის იყოს დაფინასების წყაროების მნიშვნელოვანი პრობლემა, რადგან კომპანიებს ჭირდებათ მარგებში ინვესტირება საკამოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რაც შესაძლოა ყოველთვის არა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში დაკავშირებული იყოს კრედიტორული დავალიანებების დაუყოვნებლივ ან მოკლე პერიოდით დაფარვასთან, ხოლო დებიტორებისგან მიღებული თანხები შესაძლოა გაჭიანურებული იყოს პროექტების დასრულებამდე. შესაბამისად, აღნიშნული სფეროს კომპანიებმა უნდა შეიმუშაონ მარაგების მართვის ისეთი სტრატეგი, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს სამუშაო პროცესის შეფერხებას და დააჩქარებს საოპერაციო ციკლს. გარდა ამისა აღნიშნული სფეროსთვის მიზანშეწონილია დებიტორული დავალიანებების მართვის ისეთი სისტემების შემუშავება, რომელიც დაკავშირებულია პერიოდულ გადახდებთან, პროექტების შესრულების შესაბამისად. ამ ფაქტორების შემუშავების სხვადასხვა სტრატეგიები წარმოდგენილია ნაშრომში.

Abstract

The presented master's thesis discusses the efficiency of working capital management in Georgian companies. As you know, the structured management of working capital has a significant impact on the profitability of the company, increasing the efficiency of the companies obviously leads to a more sustainable economic environment. The main goal of the paper is to analyze the factors that have a positive effect on the company's efficiency and, on the contrary, to identify the factors that have a negative effect on the company's operating cycle.
Quantitative research was conducted within the framework of the master's thesis. The financial information of the enterprises was obtained for the study, and each element of the operating cycle of working capital was analyzed using relevant data. The obtained results showed that the efficiency of working capital management depends on the quick turnover of stocks and receivables and the duration of credit financing. In addition, since inventory is one of the important components of working capital management, the paper has a deeper analysis of inventory and various inventory management systems are proposed.

Based on the obtained results, the following conclusions can be drawn. The industry of construction companies in Georgia is characterized by long-term projects, which leads to a long operating cycle. The industry of construction companies in Georgia is characterized by long-term projects, which leads to a long operating cycle. The issue may be the problem of sources of financing for the company, because companies need to invest in the margins for a long period of time, which may not always, but in many cases, is related to the immediate payment of creditor debts. And the funds received from the debtors may be delayed until the completion of the projects. Accordingly, companies in this field must develop an inventory management strategy that minimizes disruptions in the work process and accelerates the operational cycle. In addition, for the mentioned field, it is appropriate to develop such systems of management of receivables, which are related to periodic payments, in accordance with the

completion of projects. Different strategies for developing these factors are presented in the paper.

სარჩევი: